ზურაბ სარჯველაძე

ავტობიოგრაფია

მე, ზურაბ ალექსანდრეს ძე სარჯველაძე, დავიბადე 1939 წლის 12 მარტს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯუნ-ეწერში, მოსამსახურის ოჯახში.
მამა – ალექსანდრე სარჯველაძე – დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში 1942 წელს.
დედა – მარიამ სარჯველაძე – გარდაიცვალა 1988 წელს.

1946 წელს შევედი ჯუნ-ეწრის დაწყებით სკოლაში, 1957 წელს დავამთავრე ლანჩხუთის პირველი საშუალო სკოლა.

1957 წელს ჩავერიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1962 წელს დავამთავრე ამავე ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება. 1962-1966 წლებში ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის ასპირანტურაში აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით.

1968 წელს დავიცავი საკანდიდატო, 1973 წელს – სადოქტორო დისერტაცია. 1976 წელს მომენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება.

1962-1967 წლებში ვმუშაობდი გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის უფროს მასწავლებლად. 1967-1976 წლებში ვიყავი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის უმცროსი, ხოლო 1970 წლიდან – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1970 წლიდან 1982 წლამდე ვმუშაობდი პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის უფროსი მასწავლებლის, ხოლო 1975 წლიდან პროფესორის თანამდებობაზე. 1982 წლიდან 1986 წლამდე ვიყავი თსუ ძველი ქართული ენის კათედრასთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის „ორიონის“ უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1986 წლიდან ვარ ძველი ქართული ენის პროფესორი, ხოლო 1997 წლიდან ამავე კათედრის გამგე. 1993 წლიდან დღემდე ვმუშაობ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პრორექტორად სამეცნიერო დარგში. 1994-1997 წლებში ვიყავი ამავე უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგე.

ვარ რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს წევრი. ჩემი ხელმძღვანელობით მომზადდა ოთხი საკანდიდატო დისერტაცია.

ვარ საერთაშორისო სამეცნიერო ორგანოს „Georgica“ თანაგამომცემელი, პედაგოგიური უნივერსიტეტის „ქართული ენის კათედრის შრომების“ მთავარი რედაქტორი, სერიის „ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, ჟურნალის „ენათმეცნიერების საკითხები“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის მთავარი რედაქციის წევრი.

ვიყავი საკონსტიტუციო კომისიის წევრი. 1998 წელს დამაჯილდოვეს ღირსების ორდენით.

სხვადასხვა დროს მომენიჭა: საქართველოს უმაღლესი განათლების სამინისტროს პირველი პრემია (1987 წ.); აკაკი შანიძის სახელობის პრემია (1993 წ.); ალექსანდრე ჰუმბოლდტის სახელობის პრემია (1994 წ.); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრემია (2000 წ.); გეორგ როზენის სახელობის პრემია (2000 წ.).

მყავს მეუღლე, ორი შვილი და ხუთი შვილიშვილი.